



33

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 2/00

„ 20 „ იანვარი 2012

ქ. თბილისი

„ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი
„ 20 „ იანვარი 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური და
შესაბამისობის აუდიტის აქტი
01/01/2010-31/12/2010

სარჩევი

1. ძირითადი საქმიანობა.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	6
3. ბიუჯეტის დაგეგმვა.....	7
4. ბიუჯეტის შესრულება.....	9
4.1 შრომის ანაზღაურება.....	10
4.2 საქონელი და მომსახურება.....	11
4.3 გრანტები.....	12
4.4 სოციალური უზრუნველყოფა.....	12
4.5 სხვა ხარჯები.....	13
4.6 არაფინანსური აქტივების ზრდა.....	13
4.7 ვალდებულებების კლება.....	15
4.8 ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა.....	15
4.9 მიღებული გრანტები.....	16
5. საბალანსო ანგარიშგება.....	17
5.1 ფინანსური აქტივები.....	17
5.2 მოთხოვნები.....	17
5.3 არაფინანსური აქტივები.....	20
5.4 ფინანსური ვალდებულებები.....	21
5.5 სხვა ვალდებულებები.....	21
6. წმინდა ღირებულების ანგარიშგება.....	22
7. სხვა განმარტებები.....	22

დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება

დასახელება	განმარტებები	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი
სულ გადასახდელები		550,447	549,236	513,467
ხარჯები		471,090	469,996	513,467
შრომის ანაზღაურება	4.1	316,737	316,280	316,293
საქონელი და მომსახურება	4.2	143,921	143,295	135,706
ძირითადი კაპიტ. მოხმარება		0	0	48,685
სუბსიდიები		0	0	0
გრანტები	4.3	35	35	1,306
სოც. უზრუნველყოფა	4.4	2,137	2,131	2,131
სხვა ხარჯები	4.5	8,261	8,256	9,347
არაფინანს. აქტივების ზრდა	4.6	79,306	79,189	0
ვალდებულებების კლება	4.7	51	51	0

	განმარტებები	31/12/2010
აქტივები		
ფინანსური აქტივები	5.1	9,674.21
მოთხოვნები	5.2	83,639.04
არაფინანსური აქტივები	5.3	820,886.44
სულ აქტივები		914,199.68
ვალდებულებები		
ფინანსური ვალდებულებები	5.4	275.17
სხვა ვალდებულებები	5.5	26,963.05
სულ ვალდებულებები		27,238.22
კაპიტალი		886,961.47
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		914,199.68
საცნობარო მუხლები:		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებ. მატერიალური		3,755.26
ფასეულობები		
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი		2,979.73
დავალიანება		
ხარჯებში ჩამოწ. მარაგები ექპლ-ში		55,694.56
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები		32,198.29
ვადაგადაცილებული დავალიანებები		26,963.05

წმინდა ღირებულება/კაპიტალი

ნაშთი - 31 დეკემბერი 2009წ - წმინდა ღირებულება	778,833.43
ზრდა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	549,227.40
შემოსავლები:	13,821.31
მათ შორის:	
გრანტები	9,367.86
სხვა შემოსავლები	4,453.45
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	9,137.06
მათ შორის:	
ძირითადი აქტივები	5,479.29
მატერიალური მარაგები	193.65
არაწარმოებული აქტივები	3,464.13
სხვა ეკონომიკური ნაკადები	23,861.23
სულ ზრდა:	596,047.01
შემცირება	
ხარჯები	513,467.48
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	6,644.15
მათ შორის:	
ძირითადი აქტივები	4,993.17
მატერიალური მარაგები	740.91
არაწარმოებული აქტივები	910.07
სხვა ეკონომიკური ნაკადები	22,937.49
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	8.74
სულ შემცირება:	543,057.86
წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში	52,989.15
ნაშთი - 31 დეკემბერი 2010 - წმინდა ღირებულება	831,822.59
ნაშთი - 31 დეკემბერი 2010 - გაუნაწილებელი მოგება	55,347.28
ნაშთი - 31 დეკემბერი 2010 - დაუფარავი ზარალი	-208.40
სულ კაპიტალი	886,961.47

შესავალი

აუდიტის საფუძველი

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 18 თებერვლის N12/43 ბრძანება

აუდიტის ვადა

2011 წლის 21 თებერვლიდან 2011 წლის 26 აპრილამდე

შემოკლებანი

სამინისტრო ან შსს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამინისტროს ორგანოები

ცენტრალური აპარატი, კონტრდაზვერვის, კონსტიტუციური უსაფრთხოების, სპეციალური ოპერატიული, განსაკუთრებულ დავალებათა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტები და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ქ. თბილისის მთავარი სამმართველოები, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოები, სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

სასაზღვრო პოლიცია

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დაცვის პოლიცია

სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ჯანდაცვის სამსახური რეზერვების დეპარტამენტი

სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

სსიპ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

წლიური საბიუჯეტო კანონი

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი

დებულება

აუდირებულ პერიოდში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის № 1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება

1. ძირითადი საქმიანობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური, გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სამინისტროს საქმიანობის სფეროა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მიზნებისა და მოქმედებების გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა.

სამინისტროს საბალანსო ერთეულებია:

- ცენტრალური აპარატი
- კონტრდაზვერვის დეპარტამენტი
- კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი
- ტერიტორიული ორგანოები (შს მთავარი სამმართველოები)
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
- სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
- სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან აუდირებულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“
- ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

3. ბიუჯეტის დაგეგმვა

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 11 ივნისის №108 დადგენილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობები 2010 წლისათვის განისაზღვრა 27,000 ერთეულით და 500,000 ათასი ლარით. ასიგნებების ზღვრულ მოცულობებში გათვალისწინებული არ იყო უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტებში თანამონაწილეობის სახსრები.

საზღვაო ძალები საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გადმოვიდა სასაზღვრო პოლიციის დაქვემდებარებაში, რასთან დაკავშირებითაც კორექტირდა ბიუჯეტის პროექტი და სამინისტროს ასიგნებების ზღვრულმა მოცულობამ შეადგინა 548,000.0 ათასი ლარი.

სამინისტროს კადრების ზღვრულ მოცულობებში გათვალისწინებული არ ყოფილა სსიპ-ების მომუშავეთა რიცხოვნობა, რომლებიც 2010 წლიდან, აისახა წლიურ საბიუჯეტო კანონში. შესაბამისად, 2009 წლის 12 ნოემბერს №2/10-4525 წერილით საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ იქნა 2010 წლის ბიუჯეტის კორექტირებული საბოლოო პროექტი, რომლის თანახმად გაიზარდა სამინისტროს კადრების ზღვრული მოცულობა და შეადგინა 28,532 ერთეული.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 548,000 ათასი ლარით. საბიუჯეტო კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად, წლიური ასიგნება საგრანტო დაფინანსების ნაწილში გაიზარდა 2,085.6 ათასი ლარით და საბოლოოდ შეადგინა 550,085.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის №154 განკარგულებით, სსიპ შსს აკადემიას სასწავლო კორპუსის მე-4 სართულის სარემონტო სამუშაოებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო დამატებითი 365.0 ათასი ლარის ასიგნება, საიდანაც გაიზარდა 361.2 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი ნაშთი დაბრუნდა სარეზერვო ფონდში. აღნიშნულის შესაბამისად, სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 550,446.8 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში შეიცვალა ასევე კვარტალური განწერა. პირველი კვარტლის გეგმას მოაკლდა 15,311 ათასი, მეორე კვარტლის გეგმას 33,503 ათასი, ხოლო მესამე კვარტლის გეგმას 9,815 ათასი ლარი, რაც მთლიანად დაემატა მეოთხე კვარტლის გეგმას. შედეგად, მე-4 კვარტლის დამტკიცებული გეგმა გაიზარდა 48%-ით, 58,990 ათასი ლარით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი წლის ბოლოს საბანკო გარანტიებით გაიზარდა ავანსების სახით. ინფორმაცია სამინისტროს დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმასთან დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ:

	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	2010 წელი
დამტკიცებული გეგმით	127,765	159,411	140,541	122,369	550,086
დაზუსტებული გეგმით	112,454	125,909	130,726	181,358	550,447
სხვაობა	(15,311)	(33,503)	(9,815)	58,990	361

2010 წლის განმავლობაში ასიგნებათა გადანაწილებამ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შეადგინა მთლიანი საბიუჯეტო ასიგნების 2.8%, 15,229.3 ათასი ლარი, რაც კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებშია.

2010 წლის საბიუჯეტო კანონი თავდაპირველი რედაქციით ცალკე ორგანიზაციული კოდებით ითვალისწინებდა შს სამინისტროს ორგანოებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დაფინანსებას. სამინისტროს წინადადების საფუძველზე საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2010 წლის 2 მარტის №153 ცნობით ორგანიზაციულ კოდში 30 01 შეიტანა ცვლილება, რის შედეგადაც გაერთიანდა შსს ორგანოები და საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

სამინისტროს სისტემაში შიდა მუხლობრივმა და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებამ 2010 წლის განმავლობაში შეადგინა 15,229.3 ათასი ლარი. აქედან, 13,769.3 ათასი ლარის გადანაწილება განხორციელდა 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. შესაბამისად, 2010 წელს განხორციელებული გადანაწილებების 90% მოდის წლის ბოლო ორ თვეზე. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ორგანიზაციულ კოდებსა და მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ:

ორგანიზაცია	არაფ. აქტივ.	გრანტი	საქონ. და მომსახ.	სოც. უზრუნ.	სხვა ხარჯები	შრომის ანაზღ.	სულ
შს ორგანოები	12,306	(66)	(6,459)	123	(144)	(6,130)	(369)
ჯანდაც. სამსახ.	7	-	270	-	7	(46)	238
შსს აკადემია	63	-	117	-	2	(7)	175
რეზერვების დეპარტამენტი	-	-	(36)	-	(0)	(9)	(44)
დაცვის პოლიცია	-	-	75	-	(129)	54	(0)
სულ	12,376	(66)	(6,032)	123	(263)	(6,138)	0

2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გადანაწილებული თანხების 89% (12,306 ათასი ლარი) მიმართული იქნა შს სამინისტროს ორგანოების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლზე, რაც მთლიანობაში გაცემულია საბანკო გარანტიებით ავანსის სახით.

სულ, კანონით განხორციელებული ცვლილებების გამოკლებით, წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილება შეეხო ყველა მუხლს: „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შემცირდა 1.8%-ით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი შემცირდა 4.4%-ით, „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი გაიზარდა 19.0%-ით, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი გაიზარდა 49.6%-ით და დაემატა „ვალდებულებების კლების“ მუხლი (50.6 ათასი ლარი), რის შედეგადაც ამ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. საბოლოოდ სამინისტროს დაზუსტებული ბიუჯეტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

დასახელება	საწყისი დამტკიცებული ბიუჯეტი	საბოლოო დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული	ზრდა / (კლება)
სულ გადასახდელები	548,000	550,086	550,447	2,447
ხარჯები	481,555	483,491	471,090	(10,465)
შრომის ანაზღაურება	322,704	322,704	316,737	(5,967)
საქონელი და მომსახურება	148,300	150,234	143,921	(4,379)
გრანტები	100	100	35	(66)
სოციალური უზრუნველყოფა	1,428	1,428	2,137	709
სხვა ხარჯები	9,023	9,026	8,261	(762)
არაფინანსური აქტივების ზრდა	66,445	66,594	79,306	12,861
ვალდებულებების კლება	-	0	51	51

2009 წლის 31 დეკემბერს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ გამოცხადდა ტენდერი 2010 წლისათვის საწვავის, მათ შორის, ერთ-ერთ ლოტად „ლ-62“ მარკის 900,000 ლიტრი დიზელის საწვავის შესყიდვაზე. პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული იქნა შემდეგი ფასები:

შპს „რომპეტროლ საქართველო“ - 1.51 ლარი
სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - 1.45 ლარი

იმ მიზეზით, რომ სატენდერო წინადადებების ფასი აღემატებოდა შესყიდვების გეგმით განსაზღვრულ საქონლის სავარაუდო ღირებულებას, 2010 წლის 5 თებერვალს ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, რომელიც შეწყდა იმავე წლის 21 თებერვალს იმ დასაბუთებით, რომ სამინისტროს გააჩნდა დიზელის საწვავის საკმარისი მარაგი და ამასთან მოხდებოდა ბიუჯეტის ეკონომია. იმავდროულად, 2010 წლის 17 თებერვალს განმეორებითი ტენდერის ჩატარებამდე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასგან“ შესყიდული იქნა 145.0 ათასი ლარის ღირებულების 100,000 ლიტრი საწვავი. აღნიშნული შესყიდვა გათვალისწინებული იყო სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმით.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო ტენდერით 1,280 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების 800,000 ლიტრის შემენა, ე.ი. ერთი ლიტრის ფასი დაგეგმილი იყო, როგორც 1.60 ლარი. შესაბამისად, თავდაპირველი ტენდერის დროს 1.45 ლარი არ იყო გეგმით განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებაზე მეტი. ადგილი აქვს დაგეგმარებაში არსებულ ხარვეზს. საწვავის შესყიდვის ნაწილში გეგმა გაზრდილი იქნა 1 მლნ. ლარზე მეტი ოდენობით. აღნიშნული სახსრები გადანაწილდა სხვა მუხლებში და ათვისებული იქნა წლის განმავლობაში.¹

4. ბიუჯეტის შესრულება

გასულ საბიუჯეტო წლებთან შედარებით დაფინანსების უმნიშვნელო კლების ტენდენცია 2010 წელსაც გაგრძელდა და საკასო შესრულებამ 549,235.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის საკასო შესრულებაზე 4.3 %-ით ნაკლებია.

¹ გაუთვალისწინებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს არსებული მარაგები

საერთო დაფინანსების უმნიშვნელო კლების ფონზე, 26.4%-ით შემცირდა ცენტრალური აპარატის და 17.9%-ით გაიზარდა სსიპ-ების დაფინანსება.

წელი	2009	2010	ცვლილება
ცენტრალური აპარატი	187,560	138,070	(49,490)
შსს ორგანოები ²	305,704	330,894	25,190
სასაზღვრო პოლიცია	64,481	61,842	(2,639)
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	9,101	10,952	1,851
სსიპ შსს აკადემია	4,158	4,912	754
სსიპ ჯან. დაცვის სამსახური	2,096	2,331	235
სსიპ სახელმწ. მატ. რეზერვების დეპარტამენტი	273	234	(39)
სულ	573,373	549,235	(24,137)

აუდიტით დადგინდა, რომ ფაქტიურად დაფინანსებამ 549,235.7 ათასი ლარის ნაცვლად შეადგინა 549,227.4 ათასი ლარი (რაც ასახულია ბალანსის ფაორმა N3-ში). სხვაობა 8.3 ათასი ლარი გამოწვეულია იმის გამო, ხაზინის მიერ დაფინანსებაში ჩათვლილია უკან დაბრუნებული 5.9 ათასი ლარი, ასევე 2.4 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს შსს აკადემიის მიერ 2009 წელს მიღებულ გრანტის ნაშთს, რომელიც გაიხარჯა 2010 წელს.

4.1 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს მიერ გაწეულ მთლიან საკასო ხარჯში შრომის ანაზღაურება შეადგენს 58%-ს (316,278.0 ათასი ლარი), საიდანაც 20,946.7 ათასი ლარი (6.6%) გაცემულია პრემიის სახით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ 2010 წელს გაწეული 138,069.6 ათასი ლარის საკასო ხარჯის 14.4% - 19,828.9 ათასი ლარი, მოდის შრომის ანაზღაურების მუხლზე. აქედან, თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემულია 15,247.9 ათასი ლარი (77%), პრემიის სახით - 2,213.1 ათასი ლარი (11.5%), წოდებრივი სარგოს სახით - 392.1 ათასი ლარი (2.0%), დანამატის სახით 1,898.9 ათასი ლარი (9.6%), ხოლო კომპენსაცია შეადგენს 76.8 ათას ლარს (0.4%).

უმაღლესი საშტატო სახელფასო განაკვეთი შეადგენს 3,540 ლარს, ხოლო უმცირესი ხელფასი 310 ლარს. ერთ პიროვნებაზე წლის განმავლობაში დარიცხული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 64.9 ათასი ლარი. ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 13.5 ათასი ლარი.

სამინისტროს ორგანოების მიერ გაწეული 330,893.8 ათასი ლარის საკასო ხარჯის 74% (243,494.8 ათასი ლარი) მოდის შრომის ანაზღაურების მუხლზე. აქედან, პრემია შეადგენს 15,055.9 ათას ლარს (5%).

სასაზღვრო პოლიციის მიერ გაწეული 61,842.3 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან შრომის ანაზღაურების მუხლზე მოდის 41,433.9 ათასი ლარი (67%). აქედან, პრემია შეადგენს 3,121.7 ათას ლარს (7.5 %). სამინისტროს სსიპ-ების საკასო ხარჯიდან შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 63% - 11,522.2 ათასი ლარი. აქედან, პრემიაზე მოდის 556.0 ათასი ლარი (4.8%).

² შსს ორგანოები ცენტრალური აპარატისა და სასაზღვრო პოლიციის გამოკლებით

44

4.2 საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეულია მთლიანი საკასო ხარჯის 26%, 143,293.4 ათასი ლარი. მათ შორის, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ქვემუხლით გაწეული ხარჯები შეადგენს 50,186.0 ათას ლარს (35%), ოფისის ქვემუხლით გაწეულია 34,540.5 ათასი ლარი (24%) და კვების ხარჯებზე მოდის 12,707.7 ათასი ლარი (9%).

საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული მთლიანი საკასო ხარჯიდან ცენტრალურ აპარატზე მოდის 72,610.8 ათასი ლარი (50.7%) ცენტრალიზირებულად განხორციელებული შესყიდვების გამო. აქედან, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვაზე - 29,582.0 ათასი ლარი (40.7%), ოფისის ხარჯი - 14,440.0 ათასი ლარი (19.9%), კვების ხარჯი - 1,401.0 ათასი ლარი (1.9%).

შსს ორგანოების საკასო ხარჯის 16%, 52,403.8 ათასი ლარი, გაწეულია საქონელი და მომსახურების მუხლით. აქედან, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვაზე - 14,086.9 ათასი ლარი (4.3%), ოფისის ხარჯი - 15,934.9 ათასი ლარი (4.8%), კვების ხარჯი - 9,304.1 ათასი ლარი (2.8%).

სასაზღვრო პოლიციის მიერ გაწეული საკასო ხარჯიდან საქონელი და მომსახურებაზე გახარჯულია 12,614.0 ათასი ლარი (20.4%). აქედან, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვაზე - 6,091.0 ათასი ლარი (9.8%), ოფისის ხარჯი - 2,327.2 ათასი ლარი (3.8%), კვების ხარჯი - 1,760.9 ათასი ლარი (2.8%), რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენაზე - 1,584.1 ათასი ლარი (2.6%).

შსს სსიპ-ების მთლიანი საკასო ხარჯიდან საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 31% - 5,667.7 ათასი ლარი, აქედან, ოფისის ხარჯი - 1,838.4 ათასი ლარი (10%), სამედიცინო ხარჯი - 1,307.3 ათასი ლარი (7%) და ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი - 426.9 ათასი ლარი (2.3%).

2010 წლის ბოლოს, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ცენტრალურმა აპარატმა შპს „ლუკოილ ჯორჯია“-სგან შეისყიდა 2,369.5 ათასი ლარის ღირებულების 1,300.0 ათასი ლიტრი ბენზინი (27/12/2010 წლის №975 ხელშეკრულება). გადაუდებელი აუცილებლობა სამინისტროს მიერ დასაბუთებულია იმით, რომ მიმდინარე საფინანსო წლის ბოლომდე დარჩენილი იყო მოკლე პერიოდი, ხოლო ტენდერის პროცედურები მოითხოვდა გარკვეულ ვადებს. ამასთან, შს სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამინისტროს თანამშრომლების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობათა სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა დამატებით გარკვეული რაოდენობის საწვავის შესყიდვა.

ქვემოთ მოცემულია ბენზინის ხარჯისა და ნაშთის შესახებ მონაცემები ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებთან მიმართებაში, რომლებიც ცენტრალიზებული წესით ღებულობენ საწვავს.

15

№	საბიუჯეტო ორგანიზაცია	ბენზინის წლიური ხარჯი (ლიტრი)	ბენზინის ხარჯი (საშუალო ყოველთვიური)	ბენზინის 31/12/2010 წლისთვის შესყიდვის (ბოლო გარეშე)
1	ცენტრალური აპარატი	1,381,040	115,086	2,743,910
2	საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	3,412,503	284,375	1,405,142
3	განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	913,245	76,103	143,608
4	სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი	620,540	51,711	56,680
5	კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპ.	1,062,830	88,569	10
6	კოტრდაზვერვის დეპარტამენტი	684,380	57,031	14,300
7	აჭარის ა/რ მთავარი სამმართველო	467,750	38,979	8,450
8	აფხაზეთის ა/რ მთავარი სამმართველო	67,200	5,600	0
9	ქ. თბილისის მთავარი სამმართველო	1,364,510	113,709	1,450
10	ქვემო ქართლის სამხარეო მთ. სამმართველო	237,810	19,817	0
11	შიდა ქართლის სამხარეო მთ. სამმართველო	447,300	37,275	5,000
12	სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთ. სამმართველო	252,020	21,001	0
13	იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო- სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო	619,400	51,616	0
14	გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო	214,180	17,848	430
15	სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთ. სამმ.	518,520	43,210	7,000
16	მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთ. სამმართ.	237,810	19,817	3,670
17	კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო	367,170	30,597	0
18	სსიპ-პოლიციის აკადემია	84,390	7,032	19,580
19	სსიპ-ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	10,610	884	990
20	სსიპ - სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის სააგენტო	23,850	1,987	2,650
	სულ	12,987,058		4,412,870

2010 წელს, სამინისტროს ბენზინის ყოველთვიური ხარჯი საშუალოდ შეადგენდა 1,082 ათას ლიტრს. 2010 წლის ბოლოს სამინისტროს ჯამური ბენზინის ნაშთი, ბოლო შესყიდვის გარდა შეადგენდა 4,413 ათას ლიტრს. ამრიგად, სამინისტროს მხრიდან უფრო ზუსტად უნდა მომხდარიყო არსებული მარაგების გათვალისწინება.

4.3 გრანტები

2010 წელს სამინისტროს მიერ გრანტების მუხლით გაწეულია 34.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რაც წარმოადგენს ინტერპოლის საწევრო შენატანს.

4.4 სოციალური უზრუნველყოფა

2010 წელს სამინისტროს მიერ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით (დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით) გახარჯულია 2,131.3 ათასი ლარი (0.4%):

ცენტრალური აპარატი	-361.6 ათასი ლარი
სამინისტროს ორგანოები	-1,223.5 ათასი ლარი
სასახლდგრო პოლიცია	-489.5 ათასი ლარი
სსიპ-ები	-56.7 ათასი ლარი

4.5 სხვა ხარჯები

2010 წელს სამინისტროს მიერ სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 8,255.6 ათასი ლარი (1.5%).

ცენტრალური აპარატი	- 6,150.3 ათასი ლარი
სამინისტროს ორგანოები	- 942.9 ათასი ლარი
სასაზღვრო პოლიცია	- 902.2 ათასი ლარი
სსიპ-ები	- 260.2 ათასი ლარი

4.6 არაფინანსური აქტივების ზრდა

2010 წელს სამინისტროს, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით სიდიდით მესამე საკასო ხარჯი (79,186.4 ათასი ლარი, 14%) გაწეული აქვს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

- შენობა-ნაგებობების შესაძენად გახარჯულია 38,521.6 ათასი ლარი
- მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის – 40,483.8 ათასი ლარი
- ხოლო სხვა ძირითადი აქტივების – 181.1 ათასი ლარი

	შენობა-ნაგებობები	მანქ. -დანადგ. და ინვენტარი	სხვა ძირით. აქტივები	სულ
ცენტრალური აპარატი	10,714	28,257	104	39,075
სამინისტროს ორგანოები	25,675	7,076	55	32,806
სასაზღვრო პოლიცია	1,584	4,796	16	6,396
სამინისტროს სსიპ-ები	548	355	6	909
სულ	38,521	40,484	181	79,186

ცალკეულ შემთხვევაში, ტენდერების ჩატარების შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით, ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმით, დამატებითი სამუშაოების შესყიდვის ფაქტები. მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით, ასეთი შესყიდვები უნდა განხორციელებულიყო ფასთა კოტირების ან ტენდერის საშუალებებით:

- 2010 წლის 2 აგვისტოს შპს "ელექტრომონტაჟ სერვის"-თან გაფორმებული №540 ხელშეკრულებით შესყიდულია 722.7 ათასი ლარის დამატებითი სარემონტო სამუშაოები შს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობისათვის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72). აღნიშნული მომსახურების ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 608.9 ათასი ლარი.

- 2010 წლის 19 აგვისტოს შპს „ინდუსტრია-2“-თან გაფორმებული №584 ხელშეკრულებით შესყიდულია 80.7 ათასი ლარის დამატებითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72) დამხმარე კიბის მოწყობას. აღნიშნული მომსახურების ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 63.3 ათასი ლარი.

- 2010 წლის 15 სექტემბერს შპს „ველ“-თან გაფორმებული №640 ხელშეკრულებით შესყიდულია 72.0 ათასი ლარის დამატებითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №72) იზოლატორში და მეორე-მესამე სართულზე სამუშაო ოთახების კონდენცირების სისტემის მოწყობის და უკანა ფასადიდან კონდიციონერების სახურავზე ატანას.

44

რამდენიმე შემთხვევაში დამატებითი სამუშაოები შესყიდულია იმავე მიმწოდებლებისგან, რომლებმაც ტენდერში მოიპოვეს გამარჯვება ძირითად სამუშაოებზე:

2010 წლის 21 ივნისს შპს „ანტეისთან“ გაფორმებული №438 ხელშეკრულების საფუძველზე, შესყიდულია 177.0 ათასი ლარის სარემონტო სამუშაოები სამინისტროს ადმინისტრაციული შენობისათვის (ქ. თბილისი, გულუას ქ. №10). 2010 წლის 9 ივლისს კი ერთ პირთან მოლაპარაკების გზით იგივე მიმწოდებლისგან შესყიდულია 129.3 ათასი ლარის ღირებულების დამატებითი სამუშაოები იმავე ობიექტთან დაკავშირებით.

შესრულებული სამუშაოების ღირებულების ეტაპობრივად ანაზღაურების შემთხვევაში, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობები მოითხოვს ფორმა №2-სა და ფორმა №3-ის წარმოდგენას. ხშირად შუალედური გადახდების დროს შედგენილია მხოლოდ ფორმა №3. ფორმა №2 წარმოდგენილია მხოლოდ სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს. მაგალითად, ამგვარი წესით შუალედური გადახდები წარმოებულია შემდეგი ხელშეკრულებების საფუძველზე: № 438 (21/06/2010), გულუას ქ. №10-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 177.0 ათასი ლარი, მიმწოდებელი შპს „ანტი“; № 402 (02/06/2010), ვაჟა-ფშაველას №72-ში მდებარე შენობის მოპირკეთებისა და გამწვანების სამუშაოები, ღირებულებით 357.0 ათასი ლარი, მიმწოდებელი შპს „ინდუსტრია-2“; № 451 (30/06/2010), გორის რაიონული სამმართველოს, დროებითი მოთავსების იზოლატორის, შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის, ნარკოლოგიური და საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურების შენობის სამშენებლო სამუშაოები, ღირებულებით 2,449.8 ათასი ლარი, მიმწოდებელი სს „სამშენებლო ტრესტი №3“;

2010 წლის 31 ივლისს სასაზღვრო პოლიციის მიერ გაფორმებულია № 4/3-115 ხელშეკრულება სასაზღვრო პოლიციის №5 (ლაგოდეხი) სამმართველოს პოსტ „თებულოს“ ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 134.5 ათასი ლარი და 2010 წლის 4 დეკემბრის № 4/3-196 ხელშეკრულება სასაზღვრო პოლიციის №5 (ლაგოდეხი) სამმართველოს სექტორ „ლაფანყურის“ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 244.6 ათასი ლარი (მიმწოდებელი შპს ოჯახური სასტუმრო „ომალა - 2005“).

ტრანსპორტირების ხარჯი დარიცხულია მთლიანობაში როგორც მასალის ღირებულების, ასევე შრომის ანაზღაურების ოდენობიდან გამომდინარე და განსაზღვრულია 8%-ით, რაც არასწორია, ვინაიდან ტრანსპორტირება დაკავშირებულია მასალის გადაზიდვასთან და გაიანგარიშება მისი ღირებულების საფუძველზე, ხოლო შრომის ანაზღაურება ხარჯთაღრიცხვაში გამოყოფილია ცალკე, როგორც სამუშაოს მთლიანი ღირებულების შემადგენელი ნაწილი. შედეგად, სამუშაოების ღირებულება არასწორად არის გაზრდილი: № 4/3-115 ხელშეკრულებაზე – 1,923 ლარით, ხოლო № 4/3-196 ხელშეკრულებაზე – 5,298 ლარით, ჯამში 7,221 ლარით.

სამუშაოების დასრულების ვადა განსაზღვრულია № 4/3-196 ხელშეკრულებით 2011 წლის 4 ივნისამდე, ხოლო № 4/3-115 ხელშეკრულებით – 2011 წლის 30 ივლისამდე. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სამუშაოების ღირებულება შესაბამისად კორექტირებული იქნება მიმწოდებელთან დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

აუდიტის პერიოდში მთლიანად სისტემაში ჩანაცვლებით გადაცემულია 1,630.1 ათასი ლარის ჯამური ღირებულების 553 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და მიღებულია 47 ერთეული, ჯამური ღირებულებით 2,097.5 ათასი ლარი. ფასთა სხვაობით გადახდილია სულ 467.4 ათასი ლარი. აქედან, გადაცემულია ცენტრალურ აპარატზე რიცხული 416 ერთეული, ჯამური ღირებულებით 1,002.2 ათასი ლარი და მიღებულია 26 ერთეული, ჯამური ღირებულებით 1,129.8 ათასი ლარი. ფასთა სხვაობით გადახდილია 127.6 ათასი ლარი.

ჩანაცვლებით გადაცემულია სამინისტროს ბალანსზე რიცხული, ძირითადად, 1989–2007 წლებში გამოშვებული, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოური წარმოების ა/მანქანები, გამართულ, ასევე გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი. შეძენილია უმეტესად „შკოდა ოქტავია“-ს მარკის ა/მანქანები. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ავტოტრანსპორტის ჩანაცვლებას ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოტრანსპორტით. ერთ შემთხვევაში, ახალი ა/მანქანა ჩანაცვლებულია ძველით, კერძოდ, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 2008 წელს გამოშვებული „რეინჯ როვერის“ მარკის, ღირებულებით 118.9 ათასი ლარი და 2003 წელს გამოშვებული „პორშე ტურბოს“ მარკის, ღირებულებით 40.8 ათასი ლარი ა/მანქანები, ჩანაცვლებულია ერთი ერთეული, 2007 წელს გამოშვებული „რეინჯ როვერ SALLMAM“-ის მარკის ა/მანქანით (4/11/2010 №427 ხელშეკრულება, მიმწოდებელი შპს „ჯი თი მოტორსი“)³;

4.7 ვალდებულებების კლება

2010 წელს სამინისტროს მიერ ვალდებულებების კლების მუხლით წინა წლის სახელფასო და მიმწოდებლების მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანების დასაფარად გახარჯულია 50.5 ათასი ლარი (0.01%):

ცენტრალური აპარატი	- 8.8 ათასი ლარი
სამინისტროს ორგანოები	- 20.4 ათასი ლარი
სასაზღვრო პოლიცია	- 6.21 ათასი ლარი
სსიპ-ები	- 15.1 ათასი ლარი

4.8 ფაქტობრივსა და საკასო ხარჯებს შორის სხვაობა

2010 წლის საკასო ხარჯები ფაქტიურ ხარჯებს აღემატება 5,264 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდის და ძირითადი კაპიტალის მოხმარების გარდა). აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია საქონელი და მომსახურების გრანტებისა და სხვა ხარჯების მუხლებით.

საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლში საკასო ხარჯი ფაქტობრივ ხარჯს აღემატება 7,587.3 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია შეძენილი მატერიალური მარაგების დასაწყობებით, ასევე წინასწარი გადახდებით. აღნიშნულ მუხლში სხვაობა ცალკე ცენტრალურ აპარატში შეადგენს 35,640.4 ათას ლარს, რაც ძირითადად გამოწვეულია ფულადი დოკუმენტების (საწვავის ტალონები, სატელეფონო ბარათები) ცენტრალიზებული შეძენით და შემდგომ სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემით, სადაც აისახება ფაქტიურ ხარჯში

³ შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა

გრანტები

გრანტების მუხლში საკასო ხარჯი ფაქტობრივ ხარჯზე ნაკლებია 1,271.2 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის ფასეულობების გადაცემით. ამ ფასეულობებიდან 1,224.6 ათას ლარს შეადგენს ძირითადი აქტივები და 46.6 ათას ლარს მატერიალური მარაგები.

სხვა ხარჯები

სხვა ხარჯების მუხლში საკასო ხარჯი ფაქტობრივ ხარჯზე ნაკლებია 1,091.1 ათასი ლარით, საიდანაც 1,087.1 ათასი ლარი წარმოადგენს შს სამინისტროს თანამშრომლების ოჯახებზე გადასაცემად შესყიდული და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე გასული არაფინანსური აქტივების ღირებულებას, ხოლო 4.0 ათასი ლარი - სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე იძულებით წესით დაკისრებული გადახდების ხარჯები.

4.9 მიღებული გრანტები

2010 წლის განმავლობაში სამინისტროს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 1,739.6 ათასი ლარი. ინფორმაცია გრანტების მიმღები ერთეულებისა და დონორების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მიმღების დასახელება	დონორი	დანიშნულება	ნაშთი 01/01/2010	მიღება	საკასო ხარჯი	ნაშთი 31/12/2010
გდდ	BP	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისათვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტების და ოპერირების დაფინანსება	343	1,740	1,632	451
სსიპ შსს აკადემია	აშშ-ს საელჩო	ინგლისური ენის შესწავლა (პედაგოგთა ხელფასები)	3	-	2	0.1
სულ			346	1,740	1,634	451.1

BP-სგან მიღებული გრანტიდან 1,531.8 ათასი ლარი გაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით, 97.6 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით და დანარჩენი 2.2 ათასი ლარი სხვა ხარჯის მუხლით.

სსიპ საქართველოს შსს აკადემიასა და აშშ საელჩოს შორის 2008 წლის 24 ნოემბერს გაფორმდა მიზნობრივი გრანტის შესახებ ხელშეკრულება, თანხით 16.4 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული თანხით ფინანსდებოდა შსს აკადემიაში მოქმედი ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრის პედაგოგთა ხელფასები.

5. საბალანსო ანგარიშგება

5.1 ფინანსური აქტივები

ფინანსურ აქტივებში ასახულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ორგანოების, სასაზღვრო პოლიციისა და სსიპ-ების სალაროს (ნაშთი წლის დასაწყისში 127.1 ათასი ლარი და ბოლოს 324.4 ათასი ლარი), საბანკო⁴ (ნაშთი წლის დასაწყისში 4,016.7 ათასი ლარი და წლის ბოლოს 8,612.1 ათასი ლარი) და ხაზინის ანგარიშებზე (წლის დასაწყისში 357.1 ათასი ლარი და წლის ბოლოს 737.8 ათასი ლარი) არსებული ნაშთები.

5.2 მოთხოვნები

	31/12/2009	31/12/2010
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	41,573	18,793
მოთხოვნები მივლინებით	125	244
მოთხოვნები დანაკლისებით	13,339	13,407
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	11,001	8,645
გადახდილი დღგ	101	120
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1,601	1,238
სხვა საგადასახადო აქტივი	20	75
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	1	41,109
მისაღები პროცენტები	32	-
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	181	10
სულ	67,973.70	83,639.00

რამდენიმე შემთხვევაში წინასწარ გადახდებთან დაკავშირებით სატენდერო წინადადებებით შემოთავაზებული და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობები არ შეესაბამება ერთმანეთს. ხელშეკრულება დადებისთანავე ან შემდგომში მასში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს საავანსო გადახდას, ხოლო პრეტენდენტის მიერ წინასწარი გადახდა მოთხოვნილი არ ყოფილა ან/და იყო მოთხოვნილი ხელშეკრულებასთან შედარებით ნაკლები ოდენობით⁵.

სატენდერო წინადადებით არ ყოფილა მოთხოვნილი ავანსი, ხელშეკრულებით კი გათვალისწინებული იქნა:

2010 წლის 5 ნოემბერს ცენტრალური აპარატის მიერ კს „კოწიწაშვილი და კომპანია“-სთან გაფორმებული №765 ხელშეკრულებით შესყიდულია 356.2 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები (ქ. თბილისში გულუას ქ. №10-ში, 9 აპრილის ქ. №4-ში და ვაჟა-ფშაველას №72-ში.). ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა წინასწარი გადახდის შესაძლებლობა ღირებულების 80%-ის ოდენობით. ფაქტობრივად გაიცა 125.3 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 35%.

2010 წლის 5 ნოემბრის № 761 ხელშეკრულება იმავე სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ (სხვა ლოტები), ღირებულებით 318.4 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „კლიმატ დიზაინი“,

⁴ მიმდინარე და დეპოზიტორი/ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში

⁵ დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-16 და მე-16' მუხლების პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

შემსყიდველი – ცენტრალური აპარატი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა წინასწარი გადახდის შესაძლებლობა ღირებულების 100 %-ის ოდენობით. ფაქტობრივად გაიცა 111.5 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 35%;

2010 წლის 8 თებერვლის № 77 ხელშეკრულება უნიფორმისა და სამილე ინვენტარის შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 384.7 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „სოფთ ტრონიკ საქართველო“, შემსყიდველი ორგანიზაცია – განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი. ავანსის თანხა – 210.0 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 55%.

ფაქტობრივად გაცემული იქნა სატენდერო წინადადებით მოთხოვნილთან შედარებით გაზრდილი ოდენობის ავანსი:

2010 წლის 26 ივლისის № 520 ხელშეკრულება ვაჟა-ფშაველას გამზ.№72-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის კონდენცირების სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 494.9 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „ველი“, შემსყიდველი – ცენტრალური აპარატი. სატენდერო წინადადებით მოთხოვნილი იქნა ავანსი ხელშეკრულებით ღირებულების 30%-ის ოდენობით. ფაქტობრივად გაიცა 100%;

2010 წლის 20 სექტემბრის № 651 ხელშეკრულება ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზ.№72-ში მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე ღობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 398.9 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „არ დი აი“, შემსყიდველი – ცენტრალური აპარატი. სატენდერო წინადადებით მოთხოვნილი იქნა ავანსი ხელშეკრულებით ღირებულების 30%-ის ოდენობით. ფაქტობრივად გაიცა 93% (370.5 ათასი ლარი).

სატენდერო წინადადებით არ ყოფილა მოთხოვნილი ავანსი, რაც აისახა ხელშეკრულების თავდაპირველ პირობებში, ცვლილებით კი განხორციელდა წინასწარი გადახდა:

2010 წლის 26 ნოემბრის № 847 ხელშეკრულება თბილისი-გორის ავტობანზე არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გაუმჯობესება-მონტაჟის შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 200.0 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „ენ ჯი თი ჯგუფი“, შემსყიდველი – ცენტრალური აპარატი. ავანსის თანხა – 200.0 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 100%;

2010 წლის 12 აგვისტოს № 431 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის ავეჯის შესყიდვის შესახებ, ღირებულებით 28.0 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „ბ.ბ.ჯგუფი“, შემსყიდველი ორგანიზაცია – განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი. ავანსის თანხა – 11.2 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 40%;

2010 წლის 13 სექტემბრის №4/3-134 ხელშეკრულება №1 ბათუმის სამმართველოს სხვადასხვა სექტორზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების შესახებ, ღირებულებით 200.5 ათასი ლარი. მიმწოდებელი შპს „ჩირადდანი“, შემსყიდველი ორგანიზაცია – სასაზღვრო პოლიცია. ავანსის თანხა – 153.5 ათასი ლარი, ხელშეკრულების ღირებულების 77%.

ზემოთმოყვანილ ყველა შემთხვევაში საავანსო გადახდა განხორციელებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის გარანტიის საფუძველზე.

არ არის დაკისრებული პირგასამტეხლო მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის.

კერძოდ: 2010 წლის 2 ივნისის № 402 ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ვაჟა-ფშაველას №72-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მოპირკეთებისა და გამწვანების სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 385.6 ათასი ლარი, აქედან, ლოტი №1 – 292.9 ათასი ლარი, ლოტი №6 – 92.7 ათასი ლარი. სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა: ლოტი №1 – ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღე; ლოტი №6 – ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღე (მიმწოდებელი შპს „ინდუსტრია – 2“).

ორივე ლოტით გათვალისწინებული სამუშაო დასრულდა 120 დღეში, 2010 წლის 29 სექტემბერს. შესაბამისად, ლოტი №2-ით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადა გადაცილებული იქნა 80 დღით, რის გამო ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის თანახმად, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 14 835 ლარს ($92,722 \text{ ლარი} \times 0.2 \% \times 80 \text{ დღე}$).

2010 წლის 7 დეკემბრის № 4/3-199 ხელშეკრულებით მაღალი გამავლობის ავტომობილები, 12 ერთეული, მთლიანი ღირებულებით 564.0 ათასი ლარი, სასაზღვრო პოლიციისათვის მიწოდებული იქნა ეტაპობრივად, საერთო ჯამში 12 დღის დაგვიანებით (მიმწოდებელი შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი“). ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.5 პუნქტის თანახმად, დასაკისრებელი საურავის ოდენობა შეადგენს სულ 2,068 ლარს, მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.2 % ($235\,000 \text{ ლარი} \times 0.2 \% \times 3 \text{ დღე}$; $47\,000 \text{ ლარი} \times 0.2 \% \times 7 \text{ დღე}$). გამოვლენილი თანხა გადახდილი იქნა მიმწოდებლის მიერ აუდიტის პროცესში.

2008 წლის 4 ივლისის № 2/4/2-211 ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სასაზღვრო პოლიციის №2 სამმართველოს მშენებლობა, მთლიანი ღირებულებით 2,514.5 ათასი ლარი, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2010 წლის 30 აგვისტოს (მიმწოდებელი შპს „ალიონი 99“). აუდიტის ჩატარების დროისათვის სამუშაოები დასრულებული არ ყოფილა. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის თანახმად, ყოველი დაგვიანებული კვირისათვის შემსრულებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 1 %-ის ოდენობით, რაც შეადგენს: 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 40,231 ლარს ($2\,514\,484 \text{ ლარი} \times 0.1 \% \times 16 \text{ კვირა}$), ხოლო აუდიტის დამთავრების დროისათვის, 2011 წლის 26 აპრილისათვის – 82,978 ლარს ($2\,514\,484 \text{ ლარი} \times 0.1 \% \times 33 \text{ კვირა}$).

5.3 არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშნა- ნაგებობა	სატრანს. საშუალებები	სხვა მანქ./დან.	სხვა ძირ. აქტივები	დაუმთ. მშენებლობა	სხვა დანარჩენი აქტივები	მატ. მარაგები	არაფ. აქტივები (მიწა)	სულ
ნაშთი 31/12/2009	238,211	236,577	66,654	1,030	6,608	54,499	141,948	25,263	770,791
სულ მიღება	35,904	40,520	22,191	258	9,285	3,100	90,435	11,606	213,297
შესყიდვა	19,812	31,669	18,148	198	9,285	1,179	87,685	-	167,976
იმავე დონის სახ. ერთეულიდან უსასყიდლოდ	2,016	3,120	335	1	-	7	194	3,464	9,137
გრანტებით	5,006	720	2,460	-	-	-	987	87	9,260
ნებაყოფლობითი ტრანსფერებით	755	3,176	103	-	-	182	237	-	4,453
სხვა ეკ. ნაკადებით	8,315	1,815	1,094	58	-	1,723	1,331	8,055	22,391
დანაკლისის აღდგენით	-	20	50	-	-	9	1	-	81
სულ გასვლა	11,745	41,129	15,329	332	6,765	5,653	81,302	946	163,202
გაყიდვა	-	222	-	-	-	4	-	-	226
იმავე დონის სახ.ერთეულზე უსასყიდლოდ	2,041	388	25	11	-	2,528	741	910	6,644
გრანტებით	112	1,056	15	37	-	3	47	-	1,271
დანაკლისებით	3	69	111	-	-	4	10	-	197
სხვა ხარჯებით	1,086	-	1	-	-	-	-	-	1,087
სხვა ეკ. ნაკადები	2,736	6,300	1,192	59	6,765	2,207	784	36	20,078
ძირ.კაპ-ის მოხმარება	5,767	33,094	13,984	225	-	907	-	-	53,978
საქ. და მომსახურების გამოყენება	-	-	-	-	-	-	79,721	-	79,721
ნაშთი 31/12/2010	262,370	235,968	73,515	956	9,128	51,946	151,081	35,923	820,887

5.4 ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ანგარიშზე წლის ბოლოს 275.17 ათასი ლარის ოდენობით რიცხული ნაშთი წარმოადგენს სატენდერო მოსაკრებლის სახით, ასევე ჯართის რეალიზაციის მიზნით ჩატარებული აუქციონებიდან შენატანებს, რომლებიც ექვემდებარება ბიუჯეტში გადარიცხვას.

5.5 სხვა ვალდებულებები

	31/12/2009	31/12/2010
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	6,422.66	6,068.25
გადასახდელი მოგების გადასახადი	22.47	57.34
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	2,329.60	2,346.55
გადასახდელი დღგ	1,208.61	1,052.11
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	1,826.11	1,750.26
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	14,748.08	14,236.13
გადასახდელი სტიპენდიები	161.49	161.49
სოც. დაზღვევის ანარიცხები	65.81	-
სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები	123.74	113.34
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	426.68	429.35
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	27.35	25.63
გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები	-	5.75
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანება	638.91	654.72
სულ	28,108.56	26,963.05

2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ვალდებულებების შემცირებულია 1,145.5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია შემდეგით:

- სსიპ-ის მიერ საკუთარი შემოსავლებიდან 1,835.7 ათასი ლარის ოდენობით დავალიანებების დაფარვა;
- 1,165.9 ათასი ლარის ჩამოწერა, აქედან, 360.8 ათასი ლარი სააღსრულებო წესის საფუძველზე;
- შემცირებასთან ერთად, აუდირებულ პერიოდში მოხდა კრედიტორული დავალიანების ზრდა 1,856.1 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 1,801.2 ათასი ლარი წარმოქმნილია სსიპ-ებში.

6. წმინდა ღირებულების ანგარიშგება

2010 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს კაპიტალი შეადგენდა 886,961.5 ათას ლარს.

გრანტების სახით შემოსავალში ასახულია: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისათვის გადაცემული BP-ის გრანტის გაუხარჯავი ნაშთი – 108.1 ათასი ლარი; სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული 8,185.8 ათასი ლარის ძირითადი აქტივები, 987.3 ათასი ლარის მატერიალური მარაგები და 86.7 ათასი ლარის არაწარმოებული აქტივი (მიწა).

სხვა შემოსავლებში ასახულია: უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული 4,216.9 ათასი ლარის ძირითადი აქტივები და 236.6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები;

არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება და გადაცემა წარმოადგენს ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებულსა და ამავე დონის ერთეულებისათვის გადაცემულ აქტივებს.

სხვა ეკონომიკური ნაკადებით აღრიცხულია: მოგება–ზარალი ფლობიდან (შესაბამისად, 1.4 და 1.7 ათასი ლარი), რაც გამოწვეულია კურსთა შორის სხვაობით; სხვა მოცულობითი ცვლილებები (დებეტის მხარეს – 22,935.8 ათასი ლარი, კრედიტის მხარეს – 23,859.8 ათასი ლარი), რაც მოიცავს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ცვლილებებს, ასევე სხვადასხვა სახის საბალანსო შესწორებებს, არაფინანსური აქტივების ჩამოწერას, აფასებებს, ჩანაცვლებებს, ანგარიშიდან ანგარიშზე გადატანებს, დანაკლისების ჩამოწერებს

ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებებში ასახული 8.7 ათასი ლარიდან 1.4 ათასი ლარი წარმოადგენს კურსთა შორის დადებითი სხვაობის შედეგად ბიუჯეტში გადასახდელ თანხას (ცენტრალური აპარატის ვალდებულება), ხოლო 7.3 ათასი ლარი ლიკვიდირებული სსიპ სამთო მაშველის საგადასახადო დავალიანებას

7. სხვა განმარტებები

7.1 - სამინისტროს სისტემაში 2010 წელს ტენდერების შედეგად სულ წარმოიქმნა 10,657.5 ათასი ლარის ეკონომია. აქედან, ცენტრალური აპარატის მიერ განხორციელებული ტენდერებიდან წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 4,048.3 ათასი ლარი.

ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების საკითხი სამინისტროს მიერ დაყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რის თაობაზე ყველა შემთვევაში პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება.

არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების შესახებ სამინისტროს მიერ მიღებულია შესაბამისი თანხმობის მიღებამდე. მაგალითად, ცენტრალური აპარატის მიერ 2,800.0 ათასი ლარი მიმართულია სამინისტროს თანამშრომლებისათვის უნიფორმის, ხოლო 942.6 ათასი ლარი ქ. თბილისში ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის პლატოს შემაერთებელ გზაზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების დასაფინანსებლად. უნიფორმის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა 2010 წლის 5 ნოემბერს, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე 22 ნოემბერს. ფინანსთა სამინისტროს წინაშე საკითხი დაისვა 2010 წლის 1 ნოემბერს და თანხმობა მიღებული იქნა ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 6 დეკემბრის წერილით.

7.2 - ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის მაჩვენებლებისა და ცალკეული ტენდერების მიხედვით შესყიდვის სავარაუდო და ფაქტობრივ ღირებულებას შორის არსებული სხვაობების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა პრობლემურია, რაც გავლენას ახდენს შესყიდვის საბოლოო ღირებულების ჩამოყალიბებაზე და შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის შესახებ განცხადებაში მითითებულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას. თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა არასწორად, მაშინ პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული ფასებიც იქნება საბაზრო ღირებულებისგან განსხვავებული.

ცალკეული ტენდერის მიხედვით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და ტენდერის შედეგად საბოლოოდ დაფიქსირებულ ღირებულებას შორის გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობები, მაგალითად:

- ქ. თბილისის მთავარი სამმართველოში შემავალ ძველი თბილისის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვისას სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 4,300.0 ათასი ლარით, ხოლო შესყიდვის საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 3,349.0 ათასი ლარი, 951.0 ათასი ლარით ნაკლები ⁶.

- 2010 წლის 11 აგვისტოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოცხადდა ტენდერი საპატრულო პოლიციის შენობის სახურავის პოლიუერთენის მეშრანით ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 259.7 ათას ლარს. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობით ჩამონათვალში დაფიქსირებული იყო მხოლოდ ერთი პოზიცია (არსებული, ძველი საფარის მოხსნა-გასუფთავება) და არ ყოფილა დაკონკრეტებული, თუ რა სახის სამუშაოები იყო შესასრულებელი, რომლის შესაბამისადაც

⁶ ჯეროვნად არ არის შესრულებული 2010 წელს მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N 1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უნდა ყოფილიყო გათვლილი შესასყიდი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება.⁷

ასეთ ვითარებაში, ერთადერთი პრეტენდენტის შპს „მსდ ნოვაცია“-ს სატენდერო წინადადებით წარმოდგენილია შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგებოდა 20 პოზიციისგან (კონკრეტული სამუშაოების სახეობა) და რომლის მთლიანი ღირებულება სავარაუდო ღირებულების ტოლი იყო და ამავე ღირებულებაზე გაფორმდა ხელშეკრულება. დოკუმენტურად არ ჩანს, თუ რის საფუძველზე იქნა გაანგარიშებული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. შესყიდვის ღირებულების საფუძვლიანი განსაზღვრა სავალდებულოა, რათა კვალიფიციურად შეფასდეს პრეტენდენტთა შემოთავაზებების რეალობა.

7.3 - რამდენიმე შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა აღემატება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს:

- 2010 წლის 25 ნოემბერს № 612 ხელშეკრულების საფუძველზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შპს „მილერი და კომპანიისგან“ ერთ პირთან მოლაპარაკებით შესყიდული იქნა 367.0 ათასი ლარის უნიფორმა. შესყიდვა გახორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით. უნიფორმა შესყიდული იქნა საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისათვის, რომელიც შეუერთდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს სტრუქტურულ ერთეულად. დადგინდა, რომ აუდიტის ჩატარების დროისათვის გაუცემელია შესყიდული უნიფორმის 64%, სულ 236.3 ათასი ლარის ღირებულების.

- 2010 წლის 4 დეკემბრის №4/3-197 ხელშეკრულების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობით, სასაზღვრო პოლიციის მიერ სს „ჰუნდაი ავტო საქართველოსგან“ შესყიდული იქნა 4 ერთეული ა/მანქანა, საერთო ღირებულებით 120.0 ათასი ლარი, რომელთაგან აუდიტის ჩატარების დროისათვის ექსპლუატაციაში გადაცემული იყო მხოლოდ ორი ერთეული. ანალოგიურად, 2010 წლის 24 დეკემბრის № 4/3 -214 ხელშეკრულებით შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“ შეძენილი იქნა სამი ერთეული მაღალი გამავლობის ა/მანქანა, საერთო ღირებულებით 141.0 ათასი ლარი. აუდიტის დროისათვის ექსპლუატაციაში გადაცემული იყო მხოლოდ ერთი ერთეული.⁸

ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში შესყიდული იქნა უფრო მეტი რაოდენობის საქონელი, ვიდრე ეს იყო აუცილებელი გადაუდებლობიდან გამომდინარე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასაზღვრო პოლიციის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის თანხმობასთან

⁷ შეუსრულებელია დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის აღწერა უნდა შეიცავდეს ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალს

⁸ არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები

დაკავშირებით სამინისტროსთვის წარდგენილ წერილებში არ არის დაკონკრეტებული, თუ რით იყო გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობით შექმნილი ვითარება.

გარდა შესასყიდი საქონლის რაოდენობისა, კანონის მოთხოვნა ეხება აგრეთვე გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების რეალურობის დადგენას. უნდა არსებობდეს ისეთი ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი შესყიდვები:

- 2010 წლის 19 აგვისტოს უცხოურ ფირმა „Camo“-სთან გაფორმებული №4/3-123 ხელშეკრულებით სასაზღვრო პოლიციამ შეისყიდა 1,018.6 ათასი ლარის ღირებულების 22 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნული ა/მანქანების შეძენა გათვალისწინებული იყო შესყიდვების თავდაპირველი წლიური გეგმით ტენდერის საშუალებით, სულ 25 ერთეული, სავარაუდო ღირებულებით 1,016.4 ათასი ლარი. ტენდერი უნდა ჩატარებულიყო წლის განმავლობაში, თუმცა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით შესყიდვის განხორციელების საკითხი დაისვა 2010 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროსათვის წარდგენილ წერილში ასევე არ არის ახსნილი, თუ რატომ შეიქმნა შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობა. ხსენებული ხელშეკრულებით შესყიდული იქნა „მერსედეს-ბენც უნიმოგის“ მარკის ა/მანქანები. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განხორციელებულია სასაზღვრო პოლიციის №5 (ლაგოდეხი) სამმართველოს პოსტ „თებულოს“ ინფრასტრუქტურისა (2010 წლის 31 ივლისის № 4-3-115 ხელშეკრულება, ღირებულებით 151.5 ათასი ლარი) და ამავე სამმართველოს სექტორ „ლაფანყურის“ (2010 წლის 4 დეკემბრის № 4/3-197 ხელშეკრულება, ღირებულებით 244.6 ათასი ლარი) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (ორივე შემთხვევაში მიმწოდებელია შპს ოჯახური სასტუმრო „ომალო - 2005“). აღნიშნულ შესყიდვებთან დაკავშირებით სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობის მიერ სამინისტროსათვის წარდგენილი წერილებიდან ირკვევა, რომ მითითებული სამუშაოები წინასწარ დაგეგმილი იყო სასაზღვრო პოლიციის 2010 წლის ბიუჯეტით. აქედან გამომდინარე, კანონით დადგენილი შესყიდვის ღირებულების მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით უნდა ჩატარებულიყო, შესაბამისად, ფასთა კოტირება და ტენდერი.

7.4 - სატენდერო წინადადების შეფასებისას რამდენიმე შემთხვევაში არ შესრულდა კანონმდებლობის მოთხოვნები:

- 2010 წლის 5 აგვისტოს გამოცხადდა ტენდერი ქ. ახალციხეში სხვადასხვა სექტორებზე ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე (ლოტი №2). აღნიშნულ ლოტზე მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა შპს „სპეცმონტაჟშენი 2007“-მა და შპს „გოდბლესიუ“-მ. ორივე პრეტენდენტი დაიშვა შეფასებაზე და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გოდბლესიუ“. სატენდერო წინადადებების შეფასებისათვის დადგენილი იყო შემდეგი

კრიტერიუმები: ფასი, სამუშაოს შესრულების ვადები, ანგარიშსწორების პირობები, და შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა. როგორც შპს „გოდბლესიუს“, ასევე შპს „სპეცმონტაჟშენი 2007“-ის მიერ სრულად არ იყო წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაცია. შპს „გოდბლესიუს“ მიერ არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადების შესახებ, ხოლო შპს „სპეცმონტაჟშენი 2007“-მა არ წარმოადგინა ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ, რის გამოც ორივე პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, მოცემულ ლოტში ტენდერი ჩაითვლებოდა არ შემდგარად⁹.

2010 წლის 16 სექტემბერს შპს „გოდბლესიუსთან“ გაფორმდა 807.8 ათასი ლარის ღირებულების №4/3-144 ხელშეკრულება, რომელიც შეწყდა იმავე წლის 3 დეკემბერს, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობიდან გამომდინარე, შექმნილი ვითარება შეფასებული იქნა როგორც გადაუდებელი და 807.8 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკებით, გამარტივებული წესით, შპს „აკდამათისგან“ (ხელშეკრულება №4/3-195, 04.12.10 წ.). ხელშეკრულება ითვალისწინებდა 100%-ით საავანსო გადახდას.

- იმ შემთხვევაში, როდესაც შესასყიდი საქონლის ხარისხობრივი პარამეტრები მიჩნეულია სატენდერო წინადადებების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად და ფასთან ერთად გააჩნია პრიორიტეტულობის მაღალი მაჩვენებელი (კოეფიციენტი), იგი წარმოადგენს უპირატესობის მინიჭების მნიშვნელოვან საფუძველს.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ უნიფორმის შესყიდვასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის სხდომის საოქმო ჩანაწერებით ვერ დგინდება, თუ რა პროცედურები იქნა განხორციელებული სატენდერო კომისიის მიერ ისეთი სპეციფიკური საქონლის ხარისხის დასადგენად, როგორიც უნიფორმაა. კანონმდებლობის თანახმად, სატენდერო კომისიას უფლება ჰქონდა სატენდერო წინადადებების განხილვისათვის მოეწვია ექსპერტები და კონსულტანტები, ასევე სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა ყოფილიყო მითითებული ის სპეციალური ტესტები და მეთოდები, მათი აღწერა, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა საქონლის ხარისხის დადგენისას.¹⁰

⁹ დარღვეულია დებულების მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი


¹⁰ უგულებელყოფილია დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, ასევე მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

აუდიტის ანგარიში წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმში ანგარიშის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

ჯგუფის ხელმძღვანელი,
მთავარი აუდიტორი
ირაკლი ყენია

 20.01.12
ხელმოწერა თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი
მაია მუჯირიშვილი

 20.01.2012
ხელმოწერა თარიღი